

მიმდინარე წელს ჩეხეთში ტარდება მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. ბობეკი გაემგზავრა პრალაში და სურს დაესწროს ზოგიერთ თამაშს. მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რომელი გუნდების თამაშს უყურებს და ის არაა შეზღუდული დროში. მას რომ საკმარისი ფული ჰქონდეს, ყველა მატჩს დაესწრებოდა. სამწუხაროდ, ბობეკს ჩეხური კრონების შეზღუდული რაოდენობა აქვს, თუმცა შეუძლია ეს ფული მთლიანად ბილეთებზე დახარჯოს. თქვენ იცით, თუ რა ღირს თითოეულ მატჩზე დასასწრები ბილეთი. დაწერეთ პროგრამა, რომელიც გამოთვლის, თუ რამდენი განსხვავებული ვარიანტი აქვს ბობეკს თამაშებზე დასასწრებად. ორი ვარიანტი განსხვავებულად ითვლება, თუკი არსებობს ერთი მაინც მატჩი, რომელიც შედის ერთ-ერთ ვარიანტში და არ შედის მეორეში.

შესატანი მონაცემები: წაკითხვა განახორციელეთ სტანდარტულად. პირველ სტრიქონში მოცემულია ორი მთელი არაუარყოფითი N და M რიცხვი ($1 \leq N \leq 40$, $1 \leq R \leq 10^{18}$), რომლებიც აღნიშნავენ თამაშების რაოდენობას და ბობეკის ხელთ არსებული ჩეხური კრონების რაოდენობას შესაბამისად. მეორე სტრიქონში მოცემულია N მთელი რიცხვი, რომელთაგან არცერთი არ აღემატება 10^{16} -ს და რომლებიც წარმოადგენენ ბილეთების ღირებულებას ჩეხურ კრონებში.

გამოსატანი მონაცემები: გამოტანა განახორციელეთ სტანდარტულად. ერთადერთ სტრიქონში გამოიტანეთ ერთი მთელი რიცხვი – ვარიანტების რაოდენობა, რომლითაც ბობეკს შეუძლია მატჩებზე დასწრება. ნებისმიერი შესატანი მონაცემისათვის ეს რიცხვი არ აღემატება 2^{40} -ს.

შეტანის მაგალითი: 5 1000 100 1500 500 500 1000	შეტანის მაგალითი: 8
---	-------------------------------

განმარტება: არსებობს 8 ვარიანტი:

არ დაესწროს არცერთ თამაშს;

დაესწროს თამაშს 100-კრონიანი ბილეთით;

დაესწროს პირველ თამაშს 500-კრონიანი ბილეთით;

დაესწროს მეორე თამაშს 500-კრონიანი ბილეთით;

დაესწროს თამაშს 100-კრონიანი ბილეთით და პირველ თამაშს 500-კრონიანი ბილეთით;

დაესწროს თამაშს 100-კრონიანი ბილეთით და მეორე თამაშს 500-კრონიანი ბილეთით;

დაესწროს ორივე თამაშს 500-კრონიანი ბილეთით;

დაესწროს თამაშს 1000-კრონიანი ბილეთით;

შეფასება: სულ არის ტესტების 10 ჯგუფი და თითოეული მათგანი ფასდება 10 ქულით. N -ის და M -ის ზედა ზღვარი თითოეული ჯგუფისათვის შემდეგნაირია:

ჯგუფი	1-2	3-4	5-7	8-10
N -ის ლიმიტი	10	20	40	40
M -ის ლიმიტი	10^6	10^{18}	10^6	10^{18}